

## ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია - კომპანიის პროფილი

### ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

2006 წლის მაისში გერმანიის უმსხვილესმა ცემენტის მწარმოებელმა კომპანია ჰაიდელბერგცემენტმა შეიძინა შპს „ქართული ცემენტის“ 51% წილი. მოგვიანებით კომპანია საწარმოს 100% წილის მფლობელის გახდა. შპს ქართული ცემენტი საქართველოში რეგისტრირებულია 2001 წლის 29 ოქტომბერს. მენარმეთა და არასამწარმოო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, საწარმოს მესაკუთრე არის ჰოლანდიაში 1969 წლის 10 აპრილს რეგისტრირებული კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ სენტრალ იუროფ ისტ ჰოლდინგ ბი.ვი.“.

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
ალგე-მინერალი ს/კ 216441660	შერწყმა	შპს ქართული ცემენტი (204430400)	01/06/2009

2006 წლის ნოემბერში კი, ჰაიდელბერგცემენტმა გაავრცელა განცხადება, რომ ქართული ცემენტისმწარმოებელი საწარმოს „საქცემენტის“ განვითარების მიზნით შპს ჩემექსიმ ინტერნეშენალთან (ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფის მფლობელი) ერთობლივ საწარმოს ქმნიდა<sup>1</sup>. ჰაიდელბერგცემენტი ახალ საწარმოში აქციების 75%-ის მფლობელი გახდა, ხოლო ჩემექსიმ ინტერნეშენალი - დანარჩენი 25%-ის. შპს „საქცემენტი“ (შემდგომში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“) საქართველოში რეგისტრირებულია 2004 წლის 20 აპრილს. მენარმეთა და არასამწარმოო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, საწარმოს მესაკუთრე არის ჰოლანდიაში 2002 წლის 2 თებერვალს რეგისტრირებული კომპანია „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი.“, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: გელა ბეჟუაშვილი, რობერტ ბეჟუაშვილი, კლაუს ალფრედ შვინდი (გერმანია), ალბერტ შოიერი (გერმანია), კრისტიან კნელი (გერმანია)

საწარმოს რეორგანიზაციის ისტორია:

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
კავკასიატრანსი ს/კ 216439879	შერწყმა	შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ს/კ 230866435	01/06/2009
რუსთავცემენტი ს/კ/216291992	შერწყმა	შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ს/კ 230866435	01/07/2008
მელიზა ს/კ 224071359	შერწყმა	შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ს/კ 230866435	04/07/2007
კასპიცემენტი ს/კ 230866747	შერწყმა	შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ს/კ 230866435	04/07/2007
ვარიერინვესტი ს/კ 216439888	შერწყმა	შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ს/კ 230866435	04/07/2007

<sup>1</sup> [HeidelbergCement expands in Georgia](#)

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, 2010 წლისათვის აღრიცხული და იდენტიფიცირებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების ჩამონათვალი<sup>2</sup>“ თანახმად, ჰაიდელბერგცემენტის საკუთრებაში არსებული ცემენტის ქარხნები იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ატმოსფერული ჰაერის მსხვილი დამბინძურებლები.

## „ჩვენს შესახებ“

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას არ გააჩნია ქართული ვებ-გვერდი. კომპანიის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის მთავარ ვებ-გვერდზე, [სპეციალურად გამოყოფილ განყოფილებაში](#). ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურად. ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დღეისათვის ჰაიდელბერგცემენტი საქართველოში ფლობს ოთხ ცემენტის და ცხრა ბეტონის ქარხანას.

## გარემოს დაცვა

**ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია არ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ.**

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ინგლისურენოვან გვერდზე სათაურით „კლიმატის დაცვა“ წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია: „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია სერიოზულად უდგება თავის სოციალურ პასუხისმგებლობას საქართველოში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში სადაც საწარმოებია განთავსებული. კასპსა და რუსთავში ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისათვის უზარმაზარი ინვესტიციები იქნა განხორციელებული. ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა და პასუხისმგებლობა მოიცავს კასპისა და რუსთავის მოსახლეობასთან შეხვედრებს მუდმივი კომუნიკაციისა და პრობლემების დროულად გამოვლენისა და მოგვარებისათვის. კლიმატის დაცვა, ემისიების შემცირება და წარმოების ადგილებში გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება არის ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას მიზნები გარემოს დაცვისათვის. ეს მოითხოვს მაღალ ტექნიკურ სტანდარტებს, რომელიც მიიღწევა ჯგუფის წევრებს შორის ცოდნის გაცვლით და გარემოსდაცვითი მართვის დანერგვით ჰაიდელბერგცემენტის ობიექტებზე. გარემოს დაცვისათვის 12 მილიონ ევროზე მეტის ინვესტირება მოხდა საქართველოში ჰაიდელბერგცემენტის ქარხნებში ფილტრების გამოცვლის პროექტისათვის. ფილტრების გამოცვლის პროექტი 2007 წელს დაიწყო და 2008 წლის ბოლოს დასრულდა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანიას შესაძლებლობა ექნება შეამციროს მოსახლეობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ქარხნები მიაღწევენ მტვერის 99%-ის დაჭერას, რაც ნიშნავს, რომ გარემოს დაბინძურების პრობლემა აღარასოდეს შეაწუხებს კასპისა და რუსთავის მოსახლეობას“.

მიუხედავად აღნიშნულისა, დროდადრო მედიაში ჩნდება ცნობები საწარმოების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უკმაყოფილებისა და საპროტესტო აქციების შესახებ (განსაკუთრებით კასპში). მოსახლეობა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ცემენტით დაბინძურებასა და ქარხნებიდან გამონაბოლქვის შესახებ ჩივის.

<sup>2</sup> [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) სარეგისტრაციო კოდი: 420100000.22.023.014934

უახლესი რეპორტაჟი, რომელიც პრობლემას მიეძღვნა გამოქვეყნდა 2016 წლის 30 ნოემბერს ჟურნალ ლიბერალში სათაურით „[როცა შენი მეზობელი კასპის ცემენტის საწარმოა...](#)“ - ავტორი: მანონ ბოკუჩავა.

რეპორტაჟის ავტორისათვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ არ აქვს შემუშავებული და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარდგენილი:

- მტვერდამჭერი მონყობილობებისა და ვენტისტიემების გამართვა - პასპორტიზაციის ტექნიკური ანგარიში, მტვერდამჭერი მონყობილობების ფაქტიური ეფექტურობის მონაცემებით;
- ინფორმაცია ხმაურის ჩახშობის შემუშავებულ ღონისძიებათა გეგმით შესრულებული ხმაურის მონიტორინგის ტექნიკური ანგარიშის შესახებ;
- ემისიების მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული პროგრამა და შესრულების მონიტორინგის შედეგები;
- საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ატმოსფერული ჰაერის მიწისზედა ფენის მონიტორინგის შედეგები, საწარმოს სხვადასხვა დატვირთვის რეჟიმში ფუნქციონირების გათვალისწინებით;

ასევე, სამინისტროს ინფორმაციით

- „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ შემუშავებული და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, თუმცა ნარჩენების მართვა არ ხდება დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, შემონმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის მიერ შესრულებული არ არის ამ მიმართულებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ღონისძიებები.
- შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ შემუშავებული და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი არ აქვს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და ობიექტი სრულად არ არის აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ამასთან, შესრულებული არ იყო გზმ-ის ანგარიშის მე-5 თავით გათვალისწინებული - საქმიანობის შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციების აღბათობა და მათი მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებები.
- შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ არ ატარებს სისტემატურ კონტროლს მაგნე ნივთიერებათა ემისიებზე;
- შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ არ ახორციელებს შემონმებას ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობაზე, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი ზღვ-ს ნორმატივების პროექტის მიხედვით;
- საწარმოს პერსონალი სრულად უზრუნველყოფილი არ არის რესპირატორებითა და ხმაურისაგან დამცავი საშუალებებით;
- საწარმოს ტერიტორია ორ ღონეზე (და საერთოდ) შემოფარგლული არ არის მარადმწვანე მცენარეებით;
- ასევე, გამოვლინდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები“.

## სოციალური პროექტები

რაც შეეხება ჰაიდელბერგცემენტის საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის კეთილდღეობისათვის გამიზნულ ღონისძიებებს, ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ვებ-გვერდის თანახმად, კომპანია ქვემოქმედებისას ხელმძღვანელობს მისი სტრატეგიითა და მისიის განაცხადით და ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვთა დაცვა;
- ეკლესიების მშენებლობა/სკოლების შეკეთება;
- განათლება.



დოკუმენტი მომზადებულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ადვოკატირება ბუნებრივი რესურსების გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვისათვის საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნას ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2017

თბილისი, 0179, საქართველო  
 ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.  
 ტელ: (995 32) 222 38 74; 222 15 74  
 GREENALT@GREENALT.ORG  
[WWW.GREENALT.ORG](http://WWW.GREENALT.ORG)